

ლარის გაუფასურების ანატომია

ფაქტორები, პერსპექტივები, მოგებულები და წაგებულები



„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაცია“

2014. თბილისი

ლარის გაუფასურების ანატომია

არსებობს თემები, რომლებიც საზოგადოებაში აქტუალობას არ კარგავს. ერთ-ერთი მათგანია ლარის კურსი, რომლის ცვლილებაც, მიუხედავად იმისა, გამყარება იქნება ეს თუ გაუფასურება, ყოველთვის შემფოთების და პანიკური განწყობილების საფუძველი ხდება. პირველ პლანზე, ლარის კურსის ცვლილების დროს, როგორც წესი, ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორები გამოდის, ვინაიდან ეს შესაბამისი ინტერესის მქონე საზოგადოებისთვის პოლიტიკურად მომგებიანია, ხოლო საკითხის ეკონომიკური საფუძველი, პლანზე გადადის.

არადა არსებობს ბევრი კითხვა, რომელზეც „ეკონომიკური“ პასუხების გაცემაა საჭირო და არა „ფსიქოლოგიურის“, თუმცა ამ უკანასკნელსაც საკმაოდ დიდი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ლარის კურსზე, და არამარტო. სწორედ ეკონომიკური დასაბუთება და ლოგიკა არის ის საფუძველი, რომელიც ქმნის (უნდა ქმნიდეს) საზოგადოების მოლოდინებს და განწყობილებას. თუმცა, ჩვენს რეალობას თუ გადავხედავთ, ძალიან იშვიათად თუ შევხვდებით ლარის გაუფასურების (ან გამყარების) ეკონომიკური საფუძველის გაშლას, ანალიზს. ამის საპირისპიროდ, ვხვდებით ან პოლიტიკურად მოტივირებულ, ან არაკომპეტენტურ განცხადებებს, რომლებიც საზოგადოებას ზეპირად, უანალიზოდ, უაპელაციოდ „აჯერებს“, რომ გაუფასურება/გამყარება ცუდია.

მაგრამ, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ რამდენად ცუდია გაუფასურება, ან რამდენად კარგია გამყარება, არის თუ არა ეს პროცესები ობიექტური მიზეზებით გამოწვეული, ვისზე აისახება კარგად და ვის აზარალებს, ბუნებრივი გაუფასურებაა უმჯობესი თუ კურსის ხელოვნურად დაჭერა, ერთი სიტყვით ლარის კურსი საკითხების მთელ კომპლექსს მოიცავს.

დავიწყოთ მიზეზების ანალიზით.

ლარის გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები

სანამ კონკრეტული მიზეზების შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, ჯერ ზოგადად ვისაუბროთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ლარის კურსზე. ეს ფაქტორები შეგვიძლია დავყოთ მოკლევადიან და საშუალო ან/და გრძელვადიან ფაქტორებად.

მოკლევადიან პერიოდში ძირითადად ფსიქოლოგიური ფაქტორები თამაშობს ძირითად როლს, ისეთები, როგორცაა განწყობები, მოლოდინები, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები, ჯგუფური ქცევა და ა.შ. ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გაცვლით კურსზე გავლენას ახდენს ფუნდამენტური ფაქტორები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ტენდენცია, მაგალითად მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა, ინვესტიციების შემოდინება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკები, ეკონომიკური ზრდის ტემპი და სხვა.

ამდენად, თუ კურსის ცვლილების მიზეზები გვანტერესებს, ის ფუნდამენტურ ფაქტორებში უნდა ვეძებოთ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებს კი იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ მათი ზეგავლენით კურსის ბუნებრივი გაუფასურება შეიძლება დაჩქარდეს. მაგალითად, თუ მოხდება პანიკური განწყობილების დათესვა, რომ ლარი გაუფასურდება, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიწყებს დოლარის შესყიდვას, ეს გაზრდის დოლარზე მოთხოვნას და ლარი იმაზე სწრაფად და შეიძლება იმაზე მეტადაც გაუფასურდება, ვიდრე ამას მაკროეკონომიკური პარამეტრების ტენდენცია განაპირობებდა.

ამდენად, მთავარი „სამიზნე“ ანალიზის გასაკეთებლად არის ფუნდამენტური ფაქტორები, რომელიც მოიცავს არამარტო შიდა პროცესებს, არამედ გლობალურ საკითხებსაც. განვიხილოთ ეს ფაქტორები.

ფისკალური პოლიტიკა - ფისკალურ პოლიტიკას ვალუტის გაცვლით კურსზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ამის ნათელი მაგალითი, 2013 წლის შემოდგომაა, როდესაც წლის ბოლოს გააქტიურებულმა ხარჯვითმა პოლიტიკამ ლარის გაუფასურებაზე მოახდინა ზეწოლა და ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ მნიშვნელოვნად დაეცა. როგორც აღვნიშნეთ, მოკლევადიან პერიოდში კურსის ცვლილება არ უკავშირდება ფუნდამენტურ ფაქტორებს და თუ ჩვენ დღევანდელი გაუფასურების მიზეზები გვანტერესებს, ისინი უნდა ვეძებოთ ბოლო 1 წლის ეკონომიკურ ტრენდებში, მინიმუმ წლის დასაწყისიდან განვითარებულ პროცესებში. ანუ იმის თქმა, რომ ბიუჯეტის ხარჯვის გააქტიურება მყისიერ ეფექტს ახდენს ლარის გაუფასურებაზე, საფუძველს მოკლებულია. და თუ მაინც ლარის კურსზე ბიუჯეტის გავლენის შეფასება გვინდა, მაშინ ყურადღება უნდა მივაქციოთ წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვის დინამიკას. ამ მხრივ შემდეგი ვითარებაა, 2014 წლის პირველ 9 თვეში შემოსულობები შემცირდა 99,8%-ით, ხოლო გადასახდელები 91,6%-ით, ანუ დაიხარჯა 565 მილიონი ლარით ნაკლები, ამ ტენდენციის ლოგიკური შედეგი

გამყარებული ლარი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შემოსულობები პრაქტიკულად 100%-ით იქნა აკუმულირებული, ხოლო დახარჯვით გეგმაზე ნაკლები დაიხარჯა. ამდენად, წლის განმავლობაში განვითარებული საბიუჯეტო პროცესები არ არის ლარის გაუფასურების მიზეზი.

რაც შეეხება წლის ბოლოს, 10 თვეში შემოსულობების წლიური გეგმის 78,79% იქნა შეგროვებული, ანუ საანგარიშო პერიოდის 83%-ის მანძილზე თავმოყრილი იქნა შემოსულობების თითქმის 80%. დროის დარჩენილ 17%-ში ასათვისებელია გადასახდელების 23%. ეს არ არის დიდი ჩავარდა და არ იძლევა იმის თმის საფუძველს, რომ წლის მიწურულს საბიუჯეტო არხებით ეკონომიკაში ფულის მასა მნიშვნელოვნად გაიზრდება. წლის ბოლომდე ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ნაწილი 100%-ით რომ შესრულდეს, ეს გამოიწვევს ეკონომიკაში ფულის მასის 150 მილიონი ლარით გაზრდას, ვინაიდან დარჩენილ 2 თვეში მისაღებია 1.931 მილიარდი ლარის შემოსულობები, ხოლო დასახარჯია 2.081 მილიარდი ლარი. 150 მილიონი ლარი ლარის კურსზე არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება ლარის კურსზე 2014 წელს პრაქტიკულად ნულოვანია. უფრო მეტიც, ფისკალური პოლიტიკა შეიძლება ლარის გამყარებასაც ასტიმულირებდეს, ვინაიდან აუთვისებელი რესურსის დიდი ნაწილი უცხოური საინვესტიციო კრედიტებია, რომელთა ათვისება გაზრდის უცხოური ვალუტის შემოდინებას, რაც ლარის სტაბილურობის დამატებითი გარანტი იქნება.

მონეტარული პოლიტიკა - მოგეხსენებათ, ფასების სტაბილურობა არის ეროვნული უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად სებ-ი იყენებს რამენიმე გზას, არხს - საკრედიტო არხს, გაცვლითი კურსის არხს, საპროცენტო განაკვეთების არხი, მოლოდინის არხი. ამ შემთხვევაში თემის აქტუალობიდან გამომდინარე შევეხოთ გაცვლითი კურსის არხს და შევაფასოთ, როგორ აისახება მონეტარული პოლიტიკა გაცვლით კურსზე.

როგორც აღინიშნა, ფასების დონეზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი საშუალება სწორედ გაცვლით კურსზე ზემოქმედებაა. განვიხილოთ საქართველოს მაგალითი, მიზნობრივი ინფლაცია საშუალოვადიან პერიოდში შეადგენს 6%-ს, ოქტომბრის მდგომარეობით კი წლიური ინფლაცია 3,4%-ია. შეგახსენებთ, რომ ქართული ეკონომიკა სულ რაღაც ერთი წელია რაც დეფლაციური ტრენდიდან გამოვიდა, რომელიც თითქმის 2 წლის მანძილზე გრძელდებოდა და ამ ტრენდის დაძლევა ეროვნულ ბანკს მონეტარული

პოლიტიკის მაქსიმალურად შერბილების ხარჯზე მოუხდა. კერძოდ, რეფინანსირების განაკვეთი ჩამოვიდა ისტორიულ მინიმუმზე - 3.75-ზე (დღეის მდგომარეობით განაკვეთ 4%-ის დონეზეა). ამდენად, ეროვნული ბანკის ამოცანა იყო რომ უარყოფითი ინფლაცია, ანუ დეფლაცია „დაეძრა“ მიზნობრივი ნიშნულისკენ, გაეზარდა ინფლაცია, რისთვისაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი დაწია მინიმუმამდე.

რა არის შემცირებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შედეგი?

საპროცენტო განაკვეთის შემცირება, სხვა თანაბარ პირობებში იწვევს ეკონომიკაში კრედიტების მიწოდების ზრდას, განსაკუთრებით ეს ეხება ლარში დენომინირებულ სესხებს, ვინაიდან ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის გამო აღნიშნული მექანიზმის მოქმედება აისახება მხოლოდ ლარის სესხებზე და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით ეროვნული ბანკი ვერ ახდენს გავლენას უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებზე. ამის შედეგი ნათელია, ეროვნულ ვალუტაში სესხები ბოლო 1 წელიწადში 36%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოურ ვალუტაში 14%-ით.

ასევე, როგორც აღინიშნა, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე ვალუტის კურსის ცვლილების გზითაც. ანუ თუ ეროვნულ ბანკს მიზნად აქვს ინფლაციის მაჩვენებლის გარზდა, ამ მიზნის მიღწევა ეროვნული ვალუტის გაუფასურებითაც შეუძლია. კერძოდ, საპროცენტო განაკვეთის შემცირებით ეროვნულ ბანკს შეუძლია შეამციროს მოთხოვნა ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებზე და ამ გზით გააუფასუროს ეროვნული ვალუტა. ეს მექანიზმი განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა იმპორტდამოკიდებულია, ვინაიდან გაცვლითი კურსის გაუფასურება ზრდის იმპორტირებული საქონლის ფასს და ზრდის ინფლაციის მაჩვენებელს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ლარის კურსის გაუფასურება არის იმ მონეტარული პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიზანიც ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებლის მიზნობრივთან დაახლოვება, ანუ მისი გაზრდა წარმოადგენდა.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის ოქტომბრამდე ქვეყანაში საკმაოდ გრძელვადიანი დეფლაციური პროცესები მიმდინარეობდა, ამ პერიოდის განმავლობაში ლარის კურსი დოლარის მიმართ საშუალოდ 1,65-ს შეადგენდა, ამის შემდგომ დაიწყო ლარის გაუფასურება, კურსი 1,79-მდე დაეცა და შედეგად ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებელი 3,5%-მდე

გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია კი პირველ რიგში, ეროვნული ბანკის მთავარ მიზანთან იყო ახლოს, ვიდრე ნებისმიერი სხვა უწყების.

მაგრამ, ინფლაციას მიზნობრივ დონემდე ჯერ კიდევ არ მიულწევია და სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი არის შედარებით პასიური (ჯერ საერთოდ არ ჩაერია 3 თვე სავალუტო აუქციონებში და კურსის ვარდნის შემდგომაც არ მოახდინა მკვეთრი ჩარევა) კურსის შენარჩუნებაში, ვინაიდან ლარის გაუფასურების პროცესი ინფლაციის მაჩვენებელს მიზნობრივ დონეს კიდევ უფრო დაუახლოვებს.

ამდენად, ლარის კურსის ვარდნა დიდწილად არის ეროვნული ბანკის ანტიდეფლაციური პოლიტიკის შედეგი, ყოველშემთხვევაში, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების ეს ტენდენცია, ნამდვილად შედის სებ-ის ინტერესებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნეგატიური ამ პროცესებში არაფერია.

ეკონომიკური ზრდა და ექსპორტ/იმპორტის დინამიკა - ეკონომიკური აქტივობა ლარის კურსის ასევე მნიშვნელოვანი მდგენელია. მოგეხსენებათ, გასულ წელს ეკონომიკური ზრდა 3%-ის ფარგლებში იყო. მიმდინარე წელს, არსებობს ყველანაირი წინაპირობა, რომ ზრდამ 6%-ს მიაღწიოს. ეს ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდაა, რისი შედეგიც იმპორტზე გაზრდილი მოთხოვნაა (იმ შემთხვევაში, როდესაც მოხმარებაში იმპორტის წილი დიდია). იმპორტზე გაზრდილი მოთხოვნა კი სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნის ზრდა უცხოურ ვალუტაზე. 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში ექსპორტის ზრდამ 5% შეადგინა, თუმცა იგივე პერიოდში იმპორტი 11%-ით გაიზარდა. შედეგად, 11%-ით გაზრდილმა იმპორტმა შარშანდელთან შედარებით 696 მილიონი დოლარით მეტი „გაიწოვა“ ქვეყნიდან, ხოლო 5%-ით გაზრდილმა ექსპორტმა კი 115 მილიონი დოლარით მეტი „შემოიტანა“. ანუ, ქვეყანამ სავაჭრო ტენდენციების მსგავსი განვითარებით 581 მილიონი დოლარი დაკარგა, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივ ბაზარზე ლარსა და დოლარს შორის თანაფარდობის ლარის საზიანოდ შეცვლაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 2014 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საბანკო სექტორის გამოკლებით (ვინაიდან, საბანკო სექტორში მოხდა ინვესტიციების გაპორტფელურება, რამაც პირდაპირი ინვესტიციების კლების ეფექტი შექმნა) 43%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ბოლო წლების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ წლის

დასასრულს ინვესტიციების შემოდინება მატულობს, თუ ეს „ტრადიცია“ წელსაც შენარჩუნდება, ეს ლარის სიმყარეზე დადებითად აისახება.

მთლიანი საგარეო ვალი - როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის მთლიანი საგარეო ვალის ნამატმა 2014 წლის პირველ 2 კვარტალში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით 167 მილიონი შეადგინა, ანუ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება მოხდა, რაც დოლარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის განსხვავებას დადებითად დააბალანსებდა.

ფულადი გზავნილები - 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანაში გზავნილების სუფთა შემოდინებამ 1,078 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს 6 მილიონი დოლარით აღემატება. ფულადი გზავნილები ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყარო და ლარის სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამ მხრივ, ჩავარდნა ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

დეპოზიტები - ეროვნულ ვალუტაში ვადიანი დეპოზიტების ზრდამ ბოლო ერთ წელიწადში 53% შეადგინა, როდესაც დროის იგივე პერიოდში უცხოურ ვალუტაში ვადიანი დეპოზიტები მხოლოდ 6%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, 74%-ით არის გაზრდილი 1 წელზე მეტი ვადიანობის დეპოზიტები ლარში, ხოლო 2%-იანი კლებაა იგივე კატეგორიის უცხოურ დეპოზიტებზე. ასევე, 46%-იანი ზრდაა 6-12 თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე ლარში, როდესაც იგივე ვადიანობის უცხოური დეპოზიტები 15%-ით არის გაზრდილი. 147%-ით არის გაზრდილი 1-3 თვემდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი 59%-იანი ზრდაა. 1 თვემდე დეპოზიტები ლარში 31%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოურ ვალუტაში ამ მიმართულებით 65%-იანი კლებაა. დეპოზიტების მსგავსი ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, ლარის გამყარებაზე უნდა ასახულიყო.

ტურიზმი - მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანაში 1 932 492 ტურისტი შემოვიდა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 10%-ით მეტია. ტურიზმი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და ტურისტების რაოდენობის ზრდა, როგორც წესი ზრდის უცხოურ სავალუტო ნაკადს. ამდენად, ამ მხრივ არსებული ტენდენციაც ლარის სტაბილურობის ხელშემწყობია.

გლობალური ფაქტორები - გარდა შიდა ფაქტორებისა, ლარის კურსზე დოლარის მიმართ აისახება გლობალური ტენდენციებიც. მოგეხსენებათ, აშშ ახორციელებს ე.წ.

„რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკიდან ეტაპობრივ გამოსვლას, რაც გულისხმობს იმას, რომ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი მიღწეული იქნა, გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური პარამეტრები, მოხდა ეკონომიკის სტიმულირება. ამ ეტაპზე კი აშშ ახორციელებს ამ პოლიტიკიდან გამოსვლას, ეს გულისხმობს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, რაც დოლარის გამყარებაზე ახდენს გავლენას. ამის საპირისპიროდ, ევროზონაში აშშ-სთან შედარებით გაცილებით არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციაა და ამჯერად ევროპის ცენტრალური ბანკი ახდენს პოლიტიკის ლიბერალიზაციას ეკონომიკის წახალისების მიზნით. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მოვლენის შედეგია დოლარის გაძიერება საერთაშორისო ასპარეზზე.

საქართველოსთვის დოლარის გაძიერების კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ 3 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში (თურქეთი, რუსეთი, უკრაინა) მოხდა ადგილობრივი ვალუტების მნიშვნელოვანი გაუფასურება დოლარის მიმართ. ვინაიდან ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტები უფრო მეტად დაეცა დოლარის მიმართ, მათი ექსპორტი საქართველოში წახალისდება უფრო მეტად, ვიდრე საქართველოს ექსპორტი აღნიშნულ ქვეყნებში, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ სამ პარტნიორთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გაუარესდა. მხოლოდ ამ სამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა, საქართველოს დამატებით 165 მილიონი დოლარი წაართვა (ექსპორტ-იმპორტის დინამიკიდან გამომდინარე).

ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზარიც, ევრო დოლარის მიმართ თითქმის 11%-ით არის გაუფასურებული, რაც ქართულ ბაზარზე ევროპული პროდუქციის შემოტანას ასტიმულირებს.

ანალიზის შედეგად ირკვევა ის ფაქტორები, რომლებმაც ლარის ბოლოდროინდელ გაუფასურებაზე მოახდინა გავლენა. როგორც აღინიშნა, არ არსებობს ფაქტორები, რომლებიც ლარის კურსზე მყისიერ გავლენას ახდენს, ანუ გაუფასურების მიზეზები უნდა ვეძებოთ მინიმუმ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკაში. ამ მხრივ კი ყველაზე წონადი ფაქტორები, რამაც ლარის დევალვაცია გამოიწვია, არის მონეტარული პოლიტიკა და საგარეო ვაჭრობა.

ასევე საინტერესოა, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები ახლავს ლარის გაუფასურებას.

ლარის გაუფასურებით მოგებულნი დარჩებიან:

- **ექსპორტიორები** - წახალისება ადგილობრივი ნაწარმის გატანა საზღვარგარეთ;
- **დეპოზიტარები** - დეპოზიტების 60% უცხოურ ვალუტაშია და ვინაიდან ამ თანხის დიდი ნაწილი დოლარშია განთავსებული, დანაზოგების რეალური ღირებულება გაიზრდება;

ლარის გაუფასურებით წაგებული დარჩებიან:

- **მოსახლეობა** - რომელსაც გაუძვირდება იმპორტი;
- **მსესხებლები** - სესხების 60% უცხოურ ვალუტაში (უდიდესი ნაწილი დოლარში) არის გაცემული და მსესხებლებს უძვირდებათ კრედიტის მომსახურების ხარჯები;

P.S. „მოგებული“ და „წაგებული“ პირობითი შეფასებაა, მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი, ანუ პოზიტივი გადაწონის, თუ ნეგატივი. იმ გლობალურ კონინქტურაში და ცვლილებებში, რაც ჩვენს სამეზობლოში და მსოფლიოში ხდება, ლარის გაუფასურება აუცილებელიც კი არის, რომ ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი კიდევ უფრო არ გაუარესდეს, რაც გრძელვადიან პერიოდში ლარის სტაბილურობას დიდ დარტყმას მიაყენებს.